1877—1895

ივერია

№ 101
სამშაბათი, 16 მაისი 1895

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	70
9 . . .	8	—	3 . . .	3	55
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 101
სამშაბათი, 16 მაისი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული თეატრი.
ოთხშაბათს, 17 მაისს,
ქართველ არტისტებისაგან
მ. მ. საფაროვი-აბაშიძის
მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება,

I

ხანუმა
კომ. 3 მოქ. და 4 სურ. ა. ცაგარლისა.
ხანუმას როლს შეასრულებს მ. მ. საფაროვი-აბაშიძისა, აკოფას როლს შეასრულებს ვ. ა. აბაშიძე.

II

ადვოკატთან
ვოდ. 1 მოქ. ვ. ლ. გუნიასი.
მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვი-აბაშიძისა, მელიქიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, რჩეულოვისა; ბ-ნნი აბაშიძე, გედევანოვი, გუნია, ადამიძე და სხვანი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი $8^{1}/_{2}$ საათზედ.

გამგე კომიტეტს „ტფილისის თავად-აზნაურთა საზოგადოების ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ აქვს პატივი ამით აუწყოს წევრთა ამა საზოგადოებისას, რომ წლიური საზოგადო კრება დანიშნულია 15 მაისს ამ წლისას, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

განსახილველი საგნები:

1) წლიური ანგარიში „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ მოქმედებისა 1 აპრილიდგან 1894 წლისა 1 აპრილამდის 1895 წლისა;

2) სავარაუდო ხარჯის აღრიცხვა 1 იანვრიდგან 1895 წლისა 1 იანვრამდის 1896 წლისა;

3) მოხსენება დამატებითის არჩევანის შესახებ გამგე კომიტეტში

და 4) მოხსენება კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა შემუშავება ზემოხსენებულის სკოლის ტიპისა.

(3—6—2)

ტფილისი, 16 მაისი. *)

—

თერთმეტ მაისის თითქმის მთელი სხდომა კრებამ მოანდომა დივიდენდის საქმეს. ვნახოთ, როგორ მოგვითხრობენ ბანკის საბუთები ამ საქმის ისტორიას და ახლანდელს მდგომარეობას.

კარგა ხანია ბანკის კრებამ ყურადღება მიაქცია დივიდენდის საქმეს. 1890 წელს ამის შესახებ სამი პროექტი წარედგინა საზოგადო კრებას: გამგეობისა, მ. ვ. მაჩაბლისა და თავ. რევაზ ერისთვისა. საზოგადო კრებამ უარჰყო პირველი ორი პროექტი და შეიწყნარა მესამე. მოწონებულ პროექტის ძალით დივიდენდის საქმე ამ რიგად უნდა შეცვლილიყო: წლიურის წმინდა მოგებიდგან ბანკში მსახურთათვის უნდა გადადებულიყო 10% უწინდელის 20% მაგიერ, ხოლო დანარჩენი ათი პროცენტი საერთო სასარგებლო თანხაში უნდა ჩაერიცხათ. საზოგადო კრებამ დაადგინა, რომ ამ ცვლილების გამო გამგეობას, სადაც ჯერ არს, შუამდგომლობა წარედგინა. გამგეობის თხოვნა დივიდენდის შემცირების შესახებ ფინანსთა სამინისტრომ უარ-ჰყო ორჯელ. ბოლოს იგივე შუამდგომლობა სამინისტროს მესამედ წარედგინა და სამინისტროს ახსნისამებრ საქმე გარდაწყდება მაშინ, როდესაც იგი საჭირო ცნობებს შეჰკრებს.

როგორც ხედავთ—ამ საქმეში დანაშაული არავის არ უდევს: საზოგადო საქმის გულ-შემატკივართ დაუნახავთ-რა, რომ დივიდენდი მეტისმეტად გადიდებულა, აღუძრავთ დივიდენდის შემცირება, შეუმუშავებიათ პროექტი და მიუნდვიათ გამგეობისათვის სამინისტროს წინაშე შუამდგომლობის წარდგენა, გამგეობა კრების დადგენილებას ყურადღებით მოჰპყრობია: სამჯერ წარუდგენია, სადაც ჯერ არს, შუამდგომლობა, ორჯერ უარი მოსვლია, მესამედ-კი სამინისტრო დაჰპირებია, რომ სხვა-და სხვა ცნობის შეკრების შემდეგ საქმეს როგორმე გადასწყვეტს. ცხადია—დივიდენდის ისტორია ფრიად მარტივია და საქმის ეხლანდელი მდგომარეობაც გამორკვეულია. მიუხედავად ამისა მოწინააღმდეგე დასის ორატორებმა დამნაშავედ სცნეს გამგეობა. მერე რა საბუთი წარმოუდგინეს კრებას გამგეობის დანაშაულობის შესახებ? არავითარი საბუთი—ისინი მხოლოდ ჰკვირობდნენ და ლაპარაკობდნენ! ჰკვირობდნენ და ლაპარაკობდნენ—როგორ შეიძლება სამინისტროს დივიდენდის შემცირებისა უარი ეთქვაო?! მათ ფაქტი წარმოუდგინეს, რომ სამინისტრომ ორჯელ უარ-ჰყო გამგეობის თხოვნა დივიდენდის შემცირების შესახებ, ისინი-კი გაიძახიან, რა დასაჯერებელია—სამინისტროს ამაზედ უარი ეთქვასო!... მაგრამ ოპოზიციის ორატორები თვით ვერ გრძნობდნენ ამ საგანში მარჯვე ნიადაგს და ამიტომ სხვა გარემოებას მოჰკიდეს ხელი.

იმავე 1890 წელს, როდესაც თავ. რევაზ ერისთვის პროექტი ირჩეოდა, აღიძრა ბაასი იმის შესახებ, თუ როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ სამინისტროს დადგენილება დივიდენდის შემცირების შესახებ, შუა წელში ან წლის ბოლოს მოვიდა? ვიხელმძღვანელოთ ახალის კანონით იმ დღიდგან, რა დღესაც სამინისტროს დადგენილება მოვა, თუ იმ წლის დასაწყისიდგან, რა წელსაც სამინისტრო თავისს დადგენილებას მოახდენს. ვთქვათ, სამინისტრომ შეიწყნარა დივიდენდის შემცირება და ამის გამო დადგენილება 1891 წლის ბოლოს აცნობა გამგეობას, რომელ დროიდგან უნდა აელოთ ბანკის მოხელეთ შემცირებული დივიდენდი: იმ დღიდგან, რა დღესაც სამინისტროს დადგენილება მოვიდა თუ 1891 წ. პირველ იანვრიდგან? აი, ამ საგნის გამო კამათის დროს, 1890 წლის კრებაზედ, გამგეობამ პირობა დასდო, რომ დაემორჩილება ახალს კანონს იმ წლის პირველ იანვრიდგან, რა წელსაც სამინისტრო ბანკის საზოგადო კრების შუამდგომლობას შეიწყნარებს.

აი ეს გარემოება დაიხვიეს ხელზედ მოწინააღმდეგე დასის ორატორებმა და ფაქტი ამ რიგად გადმოატრიალეს: 1890 წელს გამგეობამ პირობა დასდო, რომ ამიერიდგან დივიდენდად მხოლოდ 10% აიღებსო, მაგრამ პირობას უმტყუნაო. ოთხის საათის განმავლობაში კრებას ესმოდა არა ნაკლებ სოცარი სიტყვები, ვიდრე წინა დღეს: გამგეობამ პირობა მოგვცა და თავისის სიტყვისთვის არ უნდა ემტყუნა, ამ შემთხვევაში დაპირება ვალდებულება არისო და სხვა ამგვარი!.. ზედამხედველ კომიტეტის წევრებმა განმარტეს როგორც იყო საქმე, გაასხენეს კრებას, რომ გამგეობამ სრულიად სხვა პირობა დასდო, მაგრამ ორატორები მაინც ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობდნენ გამგეობის ვალდებულებისა და დანაშაულობის შესახებ. ზედამხედველ კომიტეტის წევრებმა გაახსენეს, რომ ბანკის წესდება თხოულობს 20% გადადებას წმინდა მოგებიდგან მოხელეთათვის და სანამ წესდების მუხლი არ შეიცვლება, მანამდის არავის უფლება არა აქვს დივიდენდი შეამციროს. ხოლო რადგანაც თვით გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი კარგა ჰხედავდა, რომ დივიდენდათ კარგა ძალი ფული მიდის, ხარჯის შემცირებითვის სხვა გზა აირჩიეს: დაუწყეს შემცირება ჯამაგირებს. მიუხედავად ამ განმარტებისა ორატორები ფეხს არ იცვლიდნენ უწინდელ პოზიციიდგან, ლაპარაკოდნენ და ლაპარაკობდნენ.

მე სრულიადაც არ ვამბობ, რომ მოწინააღმდეგე დასის ორატორები განგებ ამბობენ სიცრუეს, რათა გზაკვალი აუბნიონ საზოგადოებას და ჭეშმარიტება დაუმალონ. არა, მე ვამბობ მხოლოდ, რომ ოპოზიცია გატაცებულია ბრძოლით, მას დაჰვიწყებია საზოგადო საქმე და რაღა საკვირველია, რომ ერთის ეპიზოდის ისტორიაც და მდგომარეობაც სრულიად დავიწყებული ჰქონდეს?! მებრძოლ დასს სახეში მხოლოდ ერთი დარდი აქვს: რითაც უნდა იყოს, გამგეობა დაამხოს და საზოგადოების თვალში დაამციროს! მაგრამ ოპოზიციის საუბედუროდ, საზოგადოება საბუთებს თხოულობს, ხელოვნურის ფრაზებით აღარ კმაყოფილდება და საფუძვლიანს კრიტიკას უცდის. ამ შემთხვევაში-კი ის ჰხედავს ბრძოლას ბრძოლისათვის და არა საქმისთვის და უკმაყოფილოა. აი, უკმაყოფილების დამტკიცებაც: როდესაც ოთხის საათის კამათის შემდეგ თავმჯდომარემ მიჰმართა კრებას და სთხოვა ადგომა იმათ, ვინც დივიდენდის საქმეში გამგეობას რაიმე ბრალსა სდებსო; წამოდგა სულ ოთხი კაცი!

ლალი.

კიდევ ჩვენის სტუდენტების შესახებ.

> „მოიქეც ბოროტისაგან და ქმენ კეთილი, მოიძიე მშვიდობა და მიზდევნით მას“.
>
> ფსალმუნი.

როდესაც ჩვენის სტუდენტების შევიწროებულს მდგომარეობას და ცხოვრებას გავიგონებ ხოლმე და წავიკითხავ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, უიმისოდაც შეწუხებული გული ჯავრით მევსება: მაგონდებიან ის ყმაწვილი კაცები, რომელნიც უდროოდ გამოესალმებიან ხოლმე წუთი-სოფელს. რამდენი დაზიანებულის ჯანით ცდილობენ მიიღონ სწავლა და განათლება, რათა მოუტანონ ნაყოფი კეთილი თავიანთს სამშობლოს და ვინ იცის რამდენს მოელება ბოლო და კიდევ რამდენი უნდა დასნეულდეს ჯანით და ღონით. ყოველ ამას თვალ-წინ რომ წარმოვიდგენ, მთელი სხეული მიდუნდება, რამდენიმე წამი სუნთქვა შეკრული დავცქერი ერთს ალაგს, თითქოს იქ ვეძებ იმათის გამოხსნის საშუალებას.

ოჰ, ღმერთო, რატომ ზოგიერთებსავით არ ვარ მდიდარი, რომ საჩქაროდ მივეშველო მათ, გამოვისყიდო იმათი სიცოცხლე და ყოველივე ის, რაც მათს ჯანსა და ღონეს აზიანებს. წელიწადი ისე არ გაივლის, რომ მიწას არ მივაბაროთ ჩვენი საუკეთესო მამულისშვილები, ჩვენი აწმყოს იმედნი და ნუგეშნი. ჩვენ, დედები, ვთვლით წელიწადებს, თვეებს და დღეებს ჩვენის შვილების უმაღლესის სასწავლებლიდგან დაბრუნებისას. გვიხარის და ჩვენი სიხარული თავდება მით, რომ ზოგი ვეღარც-კი მოაღწევს თავისს დედასთან და ვინც მოაღწევს, ისინიც თითქმის მალე ესალმებიან წუთი სოფელს. აი, კიდევ დაგვკარგვია ყოვლის სიკეთითა და სინიდისით სავსე ყმაწვილი კაცი მიხეილ ხელთუფლიშვილი, რომელიც ბევრს გაგვაცნეს ჩვენმა პატივცემულმა გაზეთებმა “კვალმა“ და „ივერიამ“. ცრემლით დავყურებთ „კვალში“ იმისს დაფიქრებულს სურათს, რომელიც თითქოს რაღასაც გვისაყვედურებსო; ნუ თუ ჩვენ დანაშაულნი არა ვართ მათ წინაშე? ვართ და სწორედ რომ ვართ! ერთად-ერთი საშუალება, რომელიც მათ შეღავათს აძლევდა, იყო კასსა და ისიც, სამწუხაროდ, მოესპოთ. თუმცა იყო ამ საგანზედ აღძრული ლაპარაკი და დასტამბული გაზეთებში ბ. ლალისაგან და აგრეთვე სხვებმაც გამოსთქვეს თავ-თავიანთი აზრი, მაგრამ ჩვენ ხომ ისე ვიცით, ვიტყვით და ბოლოს აღარ მივადევნებთ ხოლმე. აი დროც ეხლაა: თუ შემწეობის აღმოჩენა გვინდა ვისმეს იმათი, მოვიქცეთ ბოროტისაგან და ვქმნათ კეთილი, თქმა აღსრულებაში მოვიყვანოთ, პირადი ანგარიშები და შური იქით გადავდოთ, ყველამ საზოგადო საქმეს ხელი მოვკიდოთ და ყოველივე ადვილად გაკეთდება, თუ ერთი ძალა და ღონე გვექნება. თუ ყველანი ერთნაირ გულ-შემატკივრად შევუდგებით ყოველივე საზოგადო საქმეს, თვით ქაჯთა ციხესაც-კი ავიღებთ. აი ახლა ბანკის კრებებია, და თუ ყველანი გულ-მხურვალედ მოვეკიდებით, ცოტაოდენს თანხას შევუკრებავთ ჩვენს სტუდენტებს. ბანკის მოგებიდგან ცოტაოდენი გადავდოთ, დიდის მადლობის ღირსია მ. დავით კავკასიძე ასეთის შრომის მიღებისათვის. ღვთისა და კაცის მოსაწონ სასარგებლო საქმის დაწყებისა და შესრულებისათვის. აგრეთვე დიდის მადლობის ღირსნი არიან თვით გორელები, პატიოსანნი მშრომელნი, რომელთაც არ დაიშურეს ძალ-ღონე ამ გზის გაკეთებისათვის. ღმერთმა მარჯვენა უკურთხოს. ტყუილად ამბობენ, გორელები საზოგადო საქმეს არ თანაუგრძნობენო. თქვენ მოთავე ბრძანეთ, თორემ გორელები ყოველთვის მზად არიან კეთილის საქმისათვის.

თომა ველისციხელი.

ახალი ამბავი

—

⁂ ჩვენ მივიღეთ „ანგარიში“ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის გამგე კომიტეტისა 1894 წლის აპრილის პირველიდგან 1895 წლის აპრილის პირველამდე. ამ ანგარიშის შესახებ შემდეგ მოველაპარაკებით ჩვენს მკითხველებს.

⁂ ჩვენ მივიღეთ მეოთხე ნომერი „მეურნისა“ შემდეგის შინაარსით: ვაზის ავადმყოფობანი, იოსებ გუნცაძისა; მანქანა, როგორც ფაქტორი წარმატებისა, თარგმანი მ. ც—სი; ალისარჩული, ნ. ქიქოძისა; ოჯახში გამოსადეგი ცნობანი.

⁂ ჩვენ მივიღეთ ვიქტორ ჰიუგოს ლექსები რუსულ ენაზედ ნათარგმნი და გამოცემული თხორჟევსკის მიერ. ამ გამოცემაში თხუთმეტი ლექსია მოთავსებული, რომელთაგან ექვსი აქნობამდის არა ყოფილა რუსულ ენაზედ დაბეჭდილი. მესამე წიგნაკი 20 ივნისს გამოვა.

⁂ სოფ. აკეთი: ამ წლის მარტისა და აპრილის განმავლობაში ს. აკეთის სამკითხველოდგან ისარგებლეს 315 კაცმა, 21 დაბა-სოფლიდგან მოსულებმა.

⁂ სოფ. ლამისყანა: ამას წინად ერთი შემაძრწუნებელი და არა ჩვეულებრივი ამბავი მოხდა ჩვენს სოფელში. გლეხს ბეგიაშვილს ისე გაუ-

---

*) იხ. „ივერია“ № 100.

ჰირდა თურმე საქმე, რომ ექვსის შაურის გულისათვის ხანჯლით თავი მოიკლა. ხანჯალი ჯერ ორჯელ დაეცა მკერდზედ და მერე მუცელი გამოეფაშვნა.

*** თელავი: 8 და 9-ს მაისს სეტყვა მოვიდა ალაზანს გაღმა. ს. შილდა ძალიან დაზიანა. ს. საბუეს, ენისელსა და გრემს მცირედ მისცა ზარალი. შაქრიანი ძალიან დასეტყვა. ამბობენ, ამ სოფლის ყანებიც დაისეტყვაო. ჯერ კავკასიონის მთებიდგან თოვლი არ დაძრულა და ეს გარემოება გაახშირებს კახეთში სეტყვას. აბა, ამ დროს უნდა გაჩენილიყო აქ სეტყვისაგან დამზღვეველი საზოგადოების რწმუნებული, რომ ახლა ადვილად დასთანხმდებოდნენ მემამულენი დაზღვევაზედ.

თავად-აზნაურთა ბანკის კრება.

13 მაისი.

სხდომა დაიწყო 11 საათზედ.

თავმჯდომარე. ახლა თქვენ უნდა შეუდგეთ პროექტის მუხლების განხილვას.

მიხეილ მაჩაბელი. არ შეიძლება პროექტი დაწვრილებით განვიხილოთ, თუ ის სრულიად არ მოგვწონს.

თავ. ილია ჭავჭავაძე. ჩემის აზრით, ჯერ თითოეული მუხლი უნდა განვიხილოთ და შემდეგ მთელის პროექტის გამო ვილაპარაკოთ.

თავმჯდომარე. საგანი გამოირკვა, შევუდგეთ პროექტის მუხლების განხილვას!

ბ-ბ. კეზელი, მუსხელიშვილი და თავ. ვ. მაჩაბელი პროტესტს უცხადებენ თავმჯდომარეს და თხოულობენ პროტოკოლის შედგენას, რისთვისაც თავმჯდომარე სხდომას 5 წამით სწყვეტს. სხდომის დაწყების შემდეგ კითხულობენ პროტოკოლს, რომელშიაც პროტესტი, ბ-ნ მუსხელიშვილისა და თავ. ვ. მაჩაბლის შესწორების შემდეგ, ამნაირად ჩაიწერა: პროექტის თითოეულის მუხლის განხილვა მეტია, თავმჯდომარემ ნება არ მოგვცა ამის შესახებ, ამიტომ ვაცხადებთ პროტესტს... შემდეგ წაკითხულ იქმნა პროექტის პირველი მუხლი.

დიმიტრი ი. მუსხელიშვილი. თავად-აზნაურობის პროექტი სჯობია ბანკის პროექტს, რადგანაც იქ თავად-აზნაურობას მეტი უფლება აქვს მინიჭებული. ამ უფლებათ უფრო დაიცავს მეტი რიცხვი თავად-აზნაურობისა, ამიტომაც თავად-აზნაურობის პროექტით კრება 300 კაცისაგან შესდგება და არა 200, როგორც ბანკის პროექტს აქვს სახეში. თავ. ილია ჭავჭავაძე ამბობს, რომ ის თავად-აზნაურობის ინტერესის დამცველია. ამას ამტკიცებს თუნდ ის ფაქტიც, რომ თავ. ჭავჭავაძემ თვით გაახსენა თავად-აზნაურობას ბანკის საზოგადო კრების შეცვლის საჭიროება, ისე რომ დაცულ იქმნას თავად-აზნაურობის ინტერესი. ამ ინტერესისათვისვე მე სრულიად უარვყოფ ბანკის კომისიის პროექტის პირველ მუხლს და ვიმეორებ, რომ თავად-აზნაურობის პროექტი ჩვენთვის უკეთესია.

თავ. ნიკოლოზ ორბელიანი. შეიძლება თითოეული მუხლი პროექტისა კარგი იყოს, მაგრამ მთელი პროექტი, რომელსაც უვარგისი დედააზრი აქვს, არაფრად არ ღირდეს. ამის გარდა უნდა ვსთქვა, რომ კრებამ ყოველ მუხლის გამო უნდა განაცხადოს ხოლმე: მოსწონს თუ არა მუხლი, ხოლო სხვა დადგენილებას ვერ იზამს.

ბ. თაქთაქიშვილი. მე უნდა ქართულად მოგახსენოთ. მე არ მესმის, ჩემმა მზემ, ეს მთელი დღე რად დავკარგეთ უთავბოლოდ, ტყუილუბრალოდა? ღმერთმა გაუმარჯოს ჩვენ დაჯილდოებულ წარმომადგენელთ—თავად-აზნაურობას და ჩვენს დიდ კაცს ღუბერნსკი მარშალსა! ისინი დაუკვირდნენ ჩვენს ბანკსა, ნახეს, რომ ცვლილება უნდაო, შეიგნეს ჩვენი გაჭირვება, მოძებნეს საშუალება, ეს, ის, ერთი, მეორე და შეადგინეს პროექტი. მორჩა და გათავდა! ეხლა გამგეობა გვეუბნება ეგ არ გვინდაო, ჩვენი გასინჯეთ და ჩვენი მოიწონეთო. რადა, ბატონებო, რად უნდა მოვიწონოთ მათი? ვინ არის გამგეობა? და იქ-კი, ისინი ჩვენი საუკეთესო, ჩვენი ღვთისაგან ნაკურთხი მოწინავე კაცებია! აქ ჩვენ რა ვართ? ქინზედ ხომ არ იქნება საქმე? ჩვენ სად შეგვიძლიან იმათ წინ გადავუაროთ?.. დიდი კაცის შვილი, თითონ დიდი კაცი, დიდი ბატონი, თავადი, ღენერალი... ხუმრობთ?.. ის რომ წაბრძანდეს პეტერბურგში და მივიდეს იქ—მეორე დღეს მინისტრი ვიზიტს გადაუხდის და ჩვენ-კი ზედაც არ შემოგვხედავს... თქვე დალოცვილებო, ისინი ვილაცეები-კი არ არიან, ის კომისია ჩვენი თავად-აზნაურობაა, ჩვენი დიდი-კაცები, ჩვენი ღუბერნსკი მარშალი! დავუცადოთ იმას: წარსდგეს ხელმწიფესთან; იმას უფრო დაუჯერებენ? ის დიდი-კაცია, თავისი მამულისა და ხელმწიფისათვის დაუღვრია სისხლი და მიუღია ჩვენს მუხრან ბატონს ღენერალობა... ეხლა სულ გამგეობამ რომ არ იაროს, არ ილაპარაკოს, არ აკეთოს ბანკის საქმე არ იქნება? დავუთმოთ ახლა ჩვენს მარშალს, ბატონებო, მხოლოდ იმას დაუთმეთ და მე სიონში წავალ და იქ დავიფიცებ, რომ იმან-კი არა, თქვენ გააკეთეთ ეს საქმე პროექტისა, თუ ეს ძალიან გიამებათ. (სიცილი, ვაშა!).

მიხეილ მაჩაბელი. პირველივე მუხლი პროექტისა სპობს ჩვენის ბანკის არსებობას ჩვენთვის. 125 დამფუძნებელი ვერ ჩამოვა ხოლმე ტფილისში, ჩამოვა ძალიან ცოტა, უთუოდ მსესხებელთა რიცხვზედ ნაკლები. ეს ძალიან საშიშარია! გარდა მსესხებელთა, სოფლის თავად-აზნაურობის ინტერესს შესაძლებელია ქალაქის თავად-აზნაური წინააღუდგეს. სოფლისა და ქალაქის თავად-აზნაურობას ხშირად სხვა-და-სხვა ინტერესი აქვთ, ამის გამო სოფლის თავად აზნაურობა დაიჩაგრება ქალაქის თავად-აზნაურობისაგან და მსესხებელთაგან. ეს ისეთ უკიდურესს მდგომარეობაში ჩააყენებს სოფლის აზნაურობას, რომ მე მზადა ვარ, მუხლ-მოდრეკით შევევედროთ—ნუ დაღუპავთ თავად-აზნაურობას! ამბობენ, რომ ბანკის პატრონი თავად-აზნაურობა-კი არ არის, არამედ დამფუძნებული თავად აზნაურებიო. მე არ მესმის ეს დაყოფა თავად-აზნაურობისა: ეს ბანკის დამფუძნებელი აზნაურია, ის რკინის გზის პატრონი აზნაურია და სხვა; თავად-აზნაურობა ერთია და ერთი ინტერესი აქვს. თავად-აზნაურობა და მისი მარშალი—აი ნამდვილი პატრონი სათავად-აზნაურო ბანკისა. წესდებაც ამ პატრონმა შეიმუშავა და მისი შეცვლის ნება თქვენ არა გაქვთ. გამგეობა სამართლიანად მოიქცა, როდესაც მარშალს მიჰმართა და პატრონობა მოსთხოვა. ამისთვის მე საჭიროდ მიმაჩნია გარდა 125 დამფუძნებელთა 75 თავად-აზნაურობის წარმომადგენელი იყოს ბანკის კრების სხდომებზედ. თუ ეს ასე არ იქნა, თავად-აზნაურობის საქმე დიდს განსაცდელში ჩავარდება. საშიში მდგომარეობა არის და კერძოდ მე ტირილს მოვრთავ, თუ თქვენ ამ პროექტს შეიწყნარებთ! (ტაშის ცემა).

თავ. ყარანგოზიშვილი. აქ ჩვენ ბანკის დამფუძნებელთ არაფრად გვაგდებენ; გვეუბნებიან—წარმოდგენილს პროექტს ნუ განიხილავთ და უარ ჰყავითო! არ მესმის ეს სრულიად. ჩვენი ვალია—განვიხილოთ პროექტი, რომელიც ჩვენს ბანკს შეეხება. რაც არ ვარგა, შევცვალოთ. მაგალითად პირველი მუხლი, ჩემის ფიქრით, უნდა შეიცვალოს ამ რიგად: 125 დამფუძნებელის გარდა, 50 თავად-აზნაურობის წარმომადგენელი უნდა იყოსო. შეერთდეს ჩვენი კომისია და თავად-აზნაურობისა, ერთად გამოიკვლიონ საქმე და შეადგინონ პროექტი; მე მგონია, რომ ამის წინააღმდეგ არც თავად-აზნაურობა იქნება.

თავ. ვლადიმერ მიქელაძე. აქ ამბობენ, რომ უნდა მოემატოს თავად-აზნაურთა რიცხვი, რათა შეიძლოს თვისის უფლების უკეთესად დაცვაო. ეს მომატება სრულიად საჭირო არ არის. სრულიად საკმარისია 200 კაცის წარმომადგენლობა. უფლების დაცვა წარმომადგენლების სიმრავლეზედ არის დამოკიდებული. გერმანიაში 50 მილიონი მცხოვრებია, მაგრამ წარმომადგენელთ რიცხვი ოთხასამდი არ ადის, აგრეთვეა საფრანგეთში და სხვა სახელმწიფოებში, სადაც კონსტიტუცია არსებობს. ქუთაისის ბანკის წარმომადგენელად საკმარისად სცნეს მხოლოდ 200 კაცი. ვფიქრობ, რომ ჩვენთვისაც 200 კაცი სრულიად საკმარისი იქნება. რაც შეეხება თავად-აზნაურობის ინტერესს, რომლის დაჩაგვრის შიში განაცხადეს აქ ზოგიერთებმა, შეიძლება ამას ასე ვუშველოთ: დავტოვოთ წარმომადგენელთა რიცხვი 200, მაგრამ შევცვალოთ პროპორცია — დამფუძნებელთ რაოდენობას 25 მივუმატოთ, მსესხებელთ-კი 25 დავუკლოთ, მაშინ შედგება: დამფუძნებელი—150 და მსესხებელი 50 კაცი.

თავ. აბაშიძე. ამბობენ, რომ ჩვენის პროექტის შედგენის დროს თავად-აზნაურობის ინტერესები არ მიუღიათ სახეში. ეს შემცდარი აზრია. ნაკლულოვანება უთუოდ აქვს ჩვენს პროექტს და ამიტომ მას განხილვა უნდა, ხოლო პროექტის დედა-აზრი—წარმომადგენლობა და მასთანავე თავად-აზნაურობის უპირატესობა — დაცულია

თავ. ილია ჭავჭავაძე. პროექტს უმთავრეს საგნად აქვს თავად-აზნაურობის ელემენტს უპირატესობა მიენიჭოს. პროექტი ამის მიხედვით იყო შემუშავებული და ზედამხედველ კომიტეტის მიერ მოწონებული; ახლა თქვენ უნდა განიხილოთ, რადგანაც კანონის ძალით ვალდებული ხართ ბანკის წესდების ყოველი ცვლილება თქვენვე შეიწყნაროთ. ბ. მაჩაბელი ამტკიცებს, რომ, რადგანაც ბანკს თავად-აზნაურობის სახელი ეწოდება, ის თავად-აზნაურობას ეკუთვნისო; რომ პროექტი თავად-აზნაურების უფლებათ სჩაგრავსო. ეს ასე არ არის. როგორც იცით, ყოველს თავად-აზნაურს ტფილისის გუბერნიისას ნება აქვს შეიქნეს დამფუძნებელად. თუ ის იკასრებს ზოგიერთ კანონით დანიშნულ ვალდებულებას. ამ გზით შეიძლება გუბერნიის მთელი თავად-აზნაურობა შეიქმნეს დამფუძნებლად და ბანკის ნამდვილ პატრონად. პროექტის პირველი მუხლი სრულიად იცავს თავად-აზნაურობის ინტერესს. აქ ამბობენ, რომ თავად-აზნაურობას, როგორც დაწესებულებას, მიეცეს ბანკში წარმომადგენლობის უფლებაო, მაგრამ იმას არ ამბობენ, როგორ შეიძლება ამის განხორციელება? კანონი არ აძლევს თავად აზნაურობას არავითარ წარმომადგენლობის უფლებას. გარდა ამისა ბანკის პატრონი თავად-აზნაურობა-კი არ არის, არამედ ის თავადი ან აზნაური, რომელიც ბანკის დამფუძნებელია, ხოლო დამფუძნებლად შეიძლება მთელი თავად-აზნაურობა შეიქნეს. დამფუძნებელნი არიან ბანკის პატრონნი და მათ დაუკითხავად არავითარ ცვლილების შემოღება ირ შეიძლება. პირველის შეხედვით დამფუძნებელთა და მსესხებელთა წარმომადგენლობა თანასწორი უნდა იყოს, მაგრამ თვით წესდებაში არის ერთი მუხლი, რომელიც ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კანონი თავად-აზნაურობას აძლევს უპირატესობას, ამიტომ პროექტშიაც არის დაცული ეს აზრი—თავად-აზნაურობის უპირატესობა. რაც შეეხება პროპორციას, ჩემის ფიქრით, დიდი განსხვავება არ უნდა დაიდვას დამფუძნებელთა და მსესხებელთ შორის, რადგანაც მაშინ გაჭირდება პროექტის დამტკიცება. საჭიროა მე-82 მუხლი ჩვენის წესდებისა შეცვლილ იქმნას ისე, რომ თავად-აზნაურთა უფლებას უპირატესობა მიენიჭოს, ხოლო უნდა გვახსოვდეს, რომ რაც უფრო ნაკლები განსხვავება იქნება ელემენტთა რაოდენობაში, მით უფრო ემზგავსება ჩვენი პროექტი სამინისტროსას და მით უფრო გაადვილდება მისი დამტკიცება!

თავ. ხერხეულიძე. არ შეიძლება ამიხსნათ, ვინ უნდა გარდიხადოს უმაღლესად ნაბოძები 160 ათასი მანეთი? თავად აზნაურობას არ გადაჰხდება?

თავ. ილია ჭავჭავაძე. სრულიადაც არა! როდესაც ბანკი თავისს მოქმედებას მოსპობს, ეგ ფული ბანკმა უნდა დაუბრუნოს ხაზინას...

ჩვენსა და თავად-აზნაურობის პროექტთა შორის განსხვავება არის. საჭიროა, ჩვენიც გაირჩეს, გაუმჯობესდეს, შეივსოს და სადაც ჯერ არს წარედგინოს. თუ ჩვენ უარ-ვყავით ეგ პროექტი, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ცვლილების მოხდენისა.

თავ. ალექსანდრე ჩოლოყაშვილი. ორიოდე სიტყვა მაქვს მხოლოდ სათქმელი. თავად-აზნაურობის, როგორც დაწესებულების, წარმომადგენლობაზედ ლაპარაკი სრულიად მეტია: ჯერ ამის კანონი არ არის და მაგის შესახებ შუამდგომლობა ცალკე უნდა გაიგზავნოს. ამიტომაც კომისიებისა და მათი პროექტების შეთანხმებაც სრულიად საჭირო არ არის.

(სხდომა $^1/_2$ საათს შესწყდა).

ალექსანდრე კობიაშვილი. როდესაც უკიდურესი საჭიროება მოითხოვს, მხოლოდ მაშინ შევიტანოთ ეგ პროექტი. თუ კაცი არაფერს დაგვეკითხოს, საქმე იმ დონეზედ დავტოვოთ, როგორც ახლა გვაქვს და თუ-კი იქ, სამინისტროში, მზადდება საზოგადოდ წესდებების ცვლილებაზედ კანონდებულება, მაშინ, რასაკვირველია, ჩვენ მზად უნდა გვქონდეს ჩვენი პროექტი. ჯერ-კი ვეცადნეთ, ყველას ვთხოვოთ, რომ კანონი ეგრე არ შეიცვალოს!

თავ. ილია ჭავჭავაძე. ეხლა რომ ჩვენი პროექტი უარ-ვყოთ, აქედგან ის აიხსნება მხოლოდ, რომ არავითარის ცვლილების სურვილი არა გვაქვს და სხვებს-კი ჰსურთ ჩვენ მაგიერ ისურვონ და საქმე აკეთონ. ესე არ ივარგებს. რად ვუშლით ერთმანეთს, მიენდოს ზედამხედველ კომიტეტის გამგეობას და თავად-აზნაურობისაგან არჩეულ კომისიის წევრებს ხელ ახლად განიხილონ ორივე გეგმები— ამოკრიბონ, რაც რამ კარგია, ორივედგან, შეავსონ, გაამშვენიერონ და ეგრე შემუშავებული მხოლოდ ერთი გეგმა წარსდგეს, სადაც ჯერ არს. თუ საჭირო იყოს, შესდგეს ამისათვის არა ჩვეულებრივი კრება.

თავადი ვლადიმერ გაჩნაძე. მე სრულიად არა ვპოვებ ახალის კომისიის საჭიროებას. თავად აზნაურობისაგან შემდგარს პროექტს ჩვენ აქ ვერ შევეხებით, იმაზედ ლაპარაკის უფლება არა გვაქვს. როგორ შეიძლება იმ ცვლილებაზედ ლაპარაკი ამ კრებაში, სადაც ურევია მსესხებლებიც, რომელთაც ჩვენ ახალის პროექტის ძალით უფლებებს ვართმევთ. თქვენ გნებავთ სისტემატიურად ყოველივე თავად-აზნაურთა მოსაზრებანი ამ საშუალებით გააქარწყლოთ.

თავ. ილია ჭავჭავაძე. საკვირველი მდგომარეობა იხატება ჩვენ წინაშე! გვარწმუნებენ, რომ ჩვენ—ბანკის პატრონთ და ბატონებს, ნება არა გვაქვს, ბანკის საქმეებსა და ცვლილებაზედ ვილაპარაკოთ, და იმათ-კი, ვინც სრულიად ამ უფლებებს მოკლებულია წესდების ძალით, უფლებაცა აქვთ და კიდეც უნდა იშუამდგომლონო. განა ეს საკვირველი არ არის? განა საკვირველი არ არის ჩვენ, რომელთაც წესდებით ყოველივე უფლება გვაქვს ბანკის შესახებ, ბანკზედ ხმა არ უნდა ამოვიღოთ, და ვინც ეხლა ეძებს ამ უფლებებს, იმათ-კი უნდა ილაპარაკონ, სწერონ და იმოქმედონ! ეს ცოტა არ იყოს ულოღიკობასა ნიშნავს.

დავით კეზელი. მე მგონი, ამ კამათობით სასურველ დასკვნამდის მივაღწევთ. თუ-კი ეხლა გაიძახიან, ხელახლა გადავსინჯოთ, განვიხილოთო, მაშ თავ. ჩოლოყაშვილის აზრი მართლდება, რომ საჩქარო არა არის-რა. მე-კი ასე არ მეგონა, რადგან პეტერბურგიდგან დაბრუნებულმა თავ. ავალიშვილმა ისეთი ბუკი დაჰკრა „სამშობლო იღუპებაო"! გაისმა ძახილი, და ჩვენც ყველა ავჩქარდით. თანახმა ვარ, ხელ-მეორედ განიხილოს საქმე, მაგრამ ამისათვის ამოვარჩიოთ განსაკუთრებითი კომისია და არა ზედამ. კომიტეტს და გამგეობას მივანდოთ!

გიგო ყარანგოზიშვილი. სანამ შეიძლებოდა, არას ვამბობდი და ეხლა-კი აღარ შემიძლიან დავჩუმდე. ის პროექტი, რომელზედაც გვეუბნებიან განუხილველად მიიღეთო და სხვა თქვენ, გამგეობის პროექტი-კი სულ უარ ჰყავითო, ვიმეორებ ის თავად-აზნაურობის პროექტი არავის განუ-

ხილავს და დაუმტკიცებია. მართალია კრება შესდგა თავად-აზნაურობისა, მაგრამ არავითარი სჯა და კამათობა ამ საგანზედ არა გვქონია, რადგან ეს ჩვენ აგვიკრძალეს...

ხმები... თქვენ გუბერნიის მარშალს ეხებით!

გიორგი ყარანგოზიშვილი. დაჩუმდით! მე ვიცი, ვისაც ვეხები. თავის დღეში, არა თუ მე, სხვასაც არ მივცემ ნებას ურიგოდ შეეხოს ჩვენს წინამძღოლს! მე ყველას ვარწმუნებ, რომ იქაც, იმ კრებაში, და დღესაც ხუთი-ექვსი პირი გაიძახიან, რომ როგორ შეიძლება თავად აზნაურობის გეგმის განხილვა—ეს ხუთი პირი ყოველთვის ასე იყვირებენ—თუ თქვენ კენჭით არ გაათავებთ საქმეს. დადგით ყუთი და მაშინ გავიგებთ.

მიხეილ მაჩაბელი.. ეს ისეთი დიდი საგანია, რომ ყოველ-მხრივ უნდა გამოვარკვიოთ და ისე მოვიქცეთ. ეს შეეხება ჩვენს უფლებებს. დღეს ისეთი საქმე უნდა დამყარდეს, რომ საშვილიშვილოდ გამოდგეს. გამგეობამ უარ ჰყოს თვისი გეგმა და ჩვენ, თითქმის ყველა თავად-აზნაურნი, ვალდებულნი ვართ არა-ჩვეულებრივის კრების გარდაწყვეტილებას დავემორჩილოთ! ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვიცი განსხვავება რაში სუფევს ამ ორ გეგმის შორის. თავად-აზნაურობის გეგმა, უნაკლულოდ, ჩვენდა სასარგებლოდ არის შემდგარი და მხოლოდ იგი წარდგეს, სადაც ჯერ არს. თავ. ილია ჭავჭავაძე-კი გაიძახის, რომ ცალ-ცალკე გავგზავნოთ, ისა სჯობიაო.

თავ. ილია ჭავჭავაძე. სრულებით ეგ აზრი არ მითქვამს.!

მიხეილ მაჩაბელი... როგორ არა, მე ეგ სიტყვა-სიტყვით ჩავწერე ჩემს წიგნაკში!

თავ. ილია ჭავჭავაძე... შეიძლება: —მაგრამ თქვენ არ ჩაგიწერიათ არც წინად და არც შემდეგ მაგ სიტყვებისა რა იყო თქმული... მე ვამბობდი...

მიხეილ მაჩაბელი.—ბ. თავმჯდომარევ, რად აძლევთ ნებას, რომ სიტყვას პირიდამ მაცლის!...

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. თ. ილია გრიგორის ძევ, თუ ლაპარაკი გსურთ, მე დამეკითხეთ—თორემ თავის ნებით ლაპარაკის დაწყება ყველას აკრძალული აქვს!

მიხეილ მაჩაბელი. სწორედ ეგრე იყო და ამ საშუალებით უნდა ხელი შეგვიშალოს გამგეობამ —ისა სჯობია-მეთქი, ჩვენი წარმომადგენელი, დიდად პატივცემული პირია, რომ ჩვენის ინტერესებისათვის აშუამდგომლებს, —იმას უფრო გაუგონებენ სამინისტროში და ჩვენდა სასურველს გარდაწყვეტილებასაც მივიღებთ. თორემ გამგეობამაც რომ თავისი გაგზავნოს მაშინ... მაშ რა სთქვით თავ. ილია ჭავჭავაძე?

საზოგადოებაში სიცილია, რადგან თავ. ილია ჭავჭავაძე ჩუმად ზის თავის სკამზედ!

მიხეილ მაჩაბელი. არ მაძლევს პასუხს?

თავმჯდომარე. (შეჰხედავს თავ. ილია ჭავჭავაძეს) თავადს არ ჰსურს ლაპარაკი და მეც ძალას ვერ დავატან.

თავ. ილია ჭავჭავაძე. რატომ არა, რატომ არ, მე თქვენს ნებართვას ვუცდიდი, თორემ ყოველთვისაც შემიძლიან ვუპასუხო. მე ვამბობდი, სულ უარ-ყოფას გამგეობის გეგმისას — ვარჩევ მეთქი, ცალ-ცალკე გაიგზავნოს—ვინემ მხოლოდ თავად-აზნაურობის გეგმა-მეთქი, ეგრე ვამბობდი და ძალიან გასაგებ ენითაც, მაგრამ არიან ისეთნი პირნი, რომელთაც არა ჰსურთ პირდაპირ ნათქვამი პირდაპირად მიიღონ და სწორედ მაშინ აღიძრება ისეთი ლაპარაკი, როგორსაც მოჰყვა თ. მ. ვ. მაჩაბელი. გაიძახის მიხაილ ვახტანგის ძე მაჩაბელი, რომ ჩვენს კრებას არა აქვს უფლება განიხილოს აღძრული საგანი; მე-კი ვამტკიცებ, რომ არამც თუ არა გვაქვს ამის ნება, ეს პირდაპირ ჩვენი მოვალეობა არის!

მიხეილ მაჩაბელი. აქამდის კიდევ მესმოდა საგანი და ახლა კი აღარ მესმის!!

თავ. ილია ჭავჭავაძე.—გასაოცარია, ჩვენ რით ვართ დამნაშავე, რომ თქვენ არ გესმით!... მე განვაგრძებ. წესდების ძალით ყოველი კითხვა, ყოველი წინადადება შესახებ ბანკისა, უნდა უსათუოდ განიხილოს ბანკის კრებამ; ყოველის §-ის ცვლილება მხოლოდ მარტო ბანკის კრებისაგან უნდა უნდა მოხდეს და არამც და არამც რომელიმე დაწესებულებისა და წოდებისაგან, და ეს უფლება რომ თქვენ სხვას დაუთმოთ, რას იტყვიან სხვები? იტყვიან, რომ თქვენის პირდა-პირ უფლებაზედ უარი გითქვამთ სამუდამოდ. თავადმა ვლადიმირ ვაჩნაძემ სთქვა, რომ ამ საგნის გასარჩევად და გარდასაწყვეტად მხოლოდ დამფუძნებელთ კრება უნდა მოგვეხდინათო! ამგვარი კრება არც მომხდარა და არც მოხდება. კრება წესდების ძალით უნდა იყოს შემდგარი დამფუძნებელთაგან და მსესხებელთაგან, მხოლოდ ამგვარი კრება არის კანონიერი და მას შეუძლიან გარდასწყვიტოს ყოველი საგანი ბანკის შესახებ. ამ ორის ელემენტის განცალკევება საზოგადო კრების დროს კანონით არ შეიძლება და არც ვისიმე თვით-მნებელობით შეიძლება ეს. თქვენ, ბატონებო, შეგიძლიანთ შესცვალოთ ესა, თუ ის წესდება, ესა, თუ ეს §-ი, მაგრამ სანამდის წესდება შეუცვლელი არის, მანამდის ამ უფლებებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, ამ გზიდგან გადასვლა მეტისმეტი გატაცება იქნება!

(კრება დაიშალა მეორე დღის 10 საათამდის).

—

14 მაისს.

სხდომა დაიწყო 11 საათზედ.

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. გუშინ ისე ვრცლად ვქონდა სჯა წესდების შეცვლის თაობაზედ, რომ ეს კითხვა მე გამორკვეულად მიმაჩნდა ამისათვის მომეცით ნება შემდეგს წინადადებას ვუყაროთ კენჭი: რადგან საჭიროდ ვცანით ბანკის კრებების შეცვლა წარმომადგენლებზედ, მივანდოთ ზედამხედველს კომიტეტს და გამგეობას ხელა-ახლავ განიხილოს გეგმა, შეათანხმოს იგი თავად-აზნაურობის გეგმასთან და მოკლე დროში წარუდგეს ეგრე შემუშავებული პროექტი არა ჩვეულებრივს კრებას დასამტკიცებლად. სთხოვონ იმ პირთ, რომელნიც თავად-აზნაურობის არა-ჩვეულებრივ კრებიდგან ამორჩეულნი იყვნენ ამ საგნის შესამუშავებლად.

მიხეილ მაჩაბელი. თქვენ კიდევ გადასცდით საგანს. ეგრე ხტომა არ შეიძლება—ჩვენ უნდა გაგვერჩია პროექტი ცალკ-ცალკე მუხლებად და ახლა-კი სულ სხვა კითხვას უყრით კენჭს. მე კიდევ იმას მოგახსენებთ, რომ ეგ საქმე დიდ-მნიშვნელოვანი არის—თავად-აზნაურობის პროექტი სავსებით არის—შემდგარი. იურიდიულადაც არ გვაქვს ჩვენ ნება მოვუწოდოთ იმ კომისიას; იმან თვისი სიცოცხლე კიდეც დაათავა. იმ კომისიის უფლებანი გათავდა თავად-აზნაურობის არა-ჩვეულებრივს კრებაზედ. (შემდეგ იმეორებს თითქმის გუშინდელს ნალაპარაკევს) ბოდიშს ვიხდი, რომ ვიმეორებ, მაგრამ საგანი ღირს-შესანიშნავია და ბევრი ფიქრი უნდა ამის გადაწყვეტას.

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. მაშ როგორ გნებავთ გარდავწყვიტოთ.

მიხეილ მაჩაბელი. გამგეობის პროექტი უარ-ვყოთ და წარსდგეს თავად აზნაურობისა. თუ არა გამოვიდარა, მაშინ მოუწოდეთ არა-ჩვეულებრივს კრებას და იქ გადასწყდეს. ნურავის ეგონება, რომ მე ამ საქმეში პარტიობის რამ აზრით ვმოქმედებდე. მე თავად-აზნაურობის ინტერესებს ვიცავ. არა მსურს საშვილიშვილოდ ცუდად გვიხსენიებდნენ! (ვაშა, ვაშა!)

დავით კაზელი. თავმჯდომარესაგან კითხვა ვერ არის მართებულად დადგენილი. ჯერ უნდა ეყაროს კენჭი უმთავრესს §-ს და მერმე ცალ-ცალკე სხვებს.

თავ. ილია ჭავჭავაძე. თუ ბ. თავმჯდომარე ნებას მომცემ, სანამდის შევეხებოდე საგანს არსებითად, რამდენიმე კითხვით მივმართავ მით. ვასილ. მაჩაბელს სქმის გამოსარკვევად. (ხმა—მაჩაბელი არ არის აქ). მაშ მე მოწმად მოვიყვან მთელს კრებას, რომ მიხეილ მაჩაბელმა აქ მოგახსენათ, ვითომ კომისია თავად-აზნაურთა კრებას აღმოერჩიოს ბანკის კრებების ცვლილების პროექტის შესამუშავებლად (მართალია! მართალია!) ეს სრულიად ეგრე არ არის! ვიმეორებ ეს სრულიად უმართლოა!. თავად-აზნაურობამ 31 ოქტომბერს 1894 წელს ამოარჩია რამდენიმე პირი იმისათვის, რომ შეედგინათ განსამარტებელი წერილი. სხვა არავითარი დანიშნულება, არავითარი მინდობილება იმ პირთათვის თავად-აზნაურობას არ მიუცია. დასამტკიცებლად ყოველივე ამისა მე გთხოვთ გარდაიკითხოთ ოქმი და მაშინ ყოველივე ნათლად გამოჩნდება. (კითხულობს ოქმს შემდეგის შინაარსისას. მიენდოს გუბერნიის მარშალს იშუამდგომლოსა, სადაც ჯერ არს, წარმომადგენლობაზედ, თუ-კი ამ საგანზედ საფინანსო სამინისტროში კითხვა აღიძრას, რომ ჯეროვანად დაცულ იქმნას თავად-აზნაურობის ინტერესები, მოეთხოვოს ბანკის გამგეობას—ამ საგნის შესახებ განმარტებითი წერილი და ამავე ოქმით არჩეულ კომისიის თანხმობით მიეცეს მსვლელობა ამ საქმეს!) ეს არის! ამ გვარად შესახებ კომისიის არჩევისა და მის მიერ პროექტის შედგენისა კრინტიც არ დაძრულა! მაშასადამე არავითარი დაბრკოლება არ არის, რომ მივმართოთ თავად-აზნაურთა წინამძღოლს ამ გვარის თხოვნით: მის მიერ შედგენილი და ჩვენი შეადაროს, შეუფარდოს, დააახლოვოს... აქ კიდევ ვიმეორებ, რომ იმგვარი კომისია, როგორსაც ზოგიერთნი ასახელებენ, თავად-აზნაურობას არ აურჩევია! მე უარს არ ვჰყოფ იმას, რომ წინამძღოლს აქვს უფლება თავად-აზნაურთა ყოველივე სასარგებლო რომ დაიცას—ამისი მოვალეც არის, მხოლოდ უარსა-ვყოფ მაგგვარ კომისიას, რადგან პროექტი კომისიისა-კი არ არის, თავად-აზნაურთა წინამძღოლი და სხვები იყვნენ რჩევისათვის მოწოდებულნი.. ეს ერთი...

მიხეილ მაჩაბელი. ეხლა კიდევ სულ სხვა რიგად ლაპარაკობთ. მე მაგ საგნებისათვის არ ვარ მომზადებული, ეგ კითხვები ამ კრებაში ჩემს თანამოაზრეთ უნდა განერჩიათ და ისინი ეხლა კრებაში არ არიან, სამსახურში მივდივარ და როგორ შეიძლება ამისთანა კითხვების წამოყენება.

თავ. დავით გურამიშვილი. არ მესმის რა სამსახურია დღეს, კვირას...

მიხეილ მაჩაბელი. მაშ კარგი, ილაპარაკეთ, მე მარტო ვრჩები, მაგრამ მაინც დავანგრევ და გავაქარწყლებ თქვენს დამტკიცებებს.

თავ. ილია ჭავჭავაძე (თავმჯდომარეს). მაშ მომც[illegible]ას განვაგრძო, თუ ვუცადო მიხ. მაჩაბელს, სანამ ის გააქარწყლებს?.. (სიცილია; განაგრძობს). წეღან აქ მიხ. მაჩაბელმა დიდის ხმის ამაღლებით წარმოსთქვა, რომ თავად-აზნაურობამ დაჰკარგა თვისი უფლებანი და ჩვენ ეს უფლებანი უნდა მოვიპოვოთ ისევ, აღვადგინოთ და აი, ამისათვის იყო არჩეული კომისია და ამისათვის მან პროექტიც შეადგინაო. არა, ბატონებო! თავად-აზნაურობა სრულის გაგებით, სრულის თანაგრძნობით მოეპყრო ბანკს და მისს საზოგადო მნიშვნელობას, შეიმუშავა თვისი უფლებანი და არც რა დაუკარგავს იმათთაგან, რასაც გვიმტკიცებს აი, ოქმი 29 ნოემბრის 1872 წლისა. (აქ თავ. ჭავჭავაძემ წაიკითხა ოქმი).

აქედგან თქვენ დაინახავთ, რომ გარდა იმ 160,000 მანეთისა, რომელიც ებოძა უმაღლესად თავად-აზნაურობას, ამ უკანასკნელმა ამ საგნის განსახორციელებლად შემოიტანა კიდევ თვისი წვლილი, მიიღო თავისს თავზედ ესა თუ ის მოვალეობა და დააკანონა, რომ ვინც ამ მოვალეობას იკისრებსო, იგი უნდა იყოს წევრი ბანკისა. რაიცა შეეხება მას, რომ ბანკი თავად-აზნაურობამ დააარსა და ამისათვის იგი მხოლოდ სააზნაურო უნდა დარჩესო, ეს სრულიად უმართლოა და შეუძლებელი! უმაღლესის ნებითა და ბრძანებით ასეთი განცალკევება ყოვლად შეუძლებელია! შემდეგ მოგახსენეს, ერთ-სულობა უნდა გვქონდეს და არა გვაქვსო! ჩვენ რომ შევვერთდეთ, ბატონებო, შევადაროთ ორი პროექტი და ერთად შემუშავებული, ერთხმად წარვადგინოთ უმაღლეს მთავრობასთან —ეს ერთ-სულობა არ იქნება? მხოლოდ ერთობაში არის ერთ-სულობა და არა განცალკევებაში! ამისათვის, ბატონებო, მე კიდევ მოგიწოდებთ და გთხოვთ ზრუნვა ჩვენის ინტერესების შესახებ დავაყენოთ კანონიერსა და ერთობის გზაზედ! (ვაშა, ვაშა!)

ბ. გიგო ყარანგოზიშვილი. დროა გავათავოთ ამაზედ სჯა. უკენჭოთ ხომ ვერას გადავსწყვეტთ და დადგით ყუთი. რაც უნდა ილაპარაკოთ, ხუთი კაცი მაინც წამ იდგება და პასუხს მოგცემენ!

მიხეილ მაჩაბელი. მე ვეთანხმები თავმჯდომარესაგან დადგენილს კითხვას, მხოლოდ არა ვარ თანახმა, რომ მარტო ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის გარდაწყვეტილებით შესრულდეს საქმე.

თავ. ვლადიმირ ვაჩნაძე. ვაცხადებ, როგორც წევრი თავად-აზნაურობის კომისიისა, რომ ის ახსნა ოქმის შესახებ, რომელიც თავ. ილია ჭავჭავაძემ წარმოსთქვა, სრულიად უმართლოა.

თავ. ილია ჭავჭავაძე. მე წავიკითხე ის, რაც ჩაწერილი იყო.

თავ. ვლადიმირ ვაჩნაძე. დიაღ, თუ ეგრე გესმით თქვენ რუსული ენა!?

თავ. ილია ჭავჭავაძე. წავიკითხავ ხელ-მეორედ და ვნახოთ, თუ რუსულის მცოდნენი რას იტყვიან! (კითხულობს... ხმები მართალია!)

თავ. ვასილ მაჩაბელს არა ჰსურს დადგენილს კითხვას კენჭი ეყაროს, დ. კეზელი თხოულობს ახალი, სპეციალური კომისია აირჩეს.

თავ. ნიკოლოზ ამილახვარი. ვთხოვოთ მარშალს, შეაჩეროს თვისი პროექტი და როდესაც ორივე შემუშავდება, შეეთანხმება, მაშინ ის ერთი გაგზავნოს და თან იშუამდგომლოს კიდეც.

ამის შემდეგ კენჭი ჩამოატარეს და ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის აზრი გავიდა 170 ხმით წინაალმდეგ 43 ხმისა.

კრება დაიხურა მეორე დღის 10 საათამდის.

კორესპონდენცია.

—

რაჭა, 12 მაისი. ერთი უმთავრესი ნაკლთაგანი რაჭისათვის უექიმობა არის, რის გამოც ჩვენი ხალხი ძალა-უნებურად ეტანება მკითხავ-მარჩიელებს, რომელთა წყალობით არა ერთი ცუდი შემთხვევა მომხდარა.

ექიმი თუმცა გვყავს, მაგრამ ის უფრო „ჩინოვნიკია“ ვიდრე მკურნალი. იმას ხშირად არა აქვს ხოლმე დრო, ყოველ მიწოდებაზედ წავიდეს ავადმყოფთან და განკურნების საშუალება აღმოუჩინოს, თუნდ სულითა და გულითაც სწყუროდეს მოყვასის დახმარება; რაჭაში-კი 75 ათას მცხოვრებზედ მეტი ირიცხება, აბა რა ჰქმნას აქ ერთმა ექიმმა და იმანაც სახელმწიფო საქმეებით შეზღუდულმა? იმ სოფლებში, სადაც აფთიაქები და ფერშლებია, მცხოვრებნი უფრო უკეთესს მდგომარეობაში არიან; ქვემო რაჭის ორი აფთიაქი—ბუგეულისა და ამბროლაურისა ყოველ-დღე ხალხით არის ხოლმე სავსე. ხალხი თან-და-თან გებულობს გონიერულ ექიმობის სარგებლობას; ვისაც საშუალება აქვს, ის უსათუოდ ფერშალს ან მეაფთიაქეს მიმართავს თავისის ავადმყოფის წამლობისათვის, და სწორე მოგახსენოთ სოფლის მკითხავებისა და ექიმების ბატონობა მარტო ხალხის უგნურებას კი არა, მათ უკიდურესს სიღარიბეს და უსაშუალებას უნდა მიეწეროს: ნათქვამია „წყალ-წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“.

ბუგეულელი.

—

ქ. გორი. ვისაც-კი უნახავს გორი და გორი-ჯვრის ტაძარი, იმან კარგად იცის, რანაირი საშინელი ცუდი მისასვლელი გზა აქვს ამ ტაძარს. არამც თუ ურმით და ეტლით, ფეხითაც-კი ძლივს ავა მლოცველი იმ სიმაღლე გორაზედ აშენებულ ისტორიულად შესანიშნავ ტაძარ „გორის ჯვარში“ სალოცავად. ასეთის საძაგელის გზით მლოცავების შეწუხებას ყურადღება მიაქცია გორის ჯვრის მღვდელმა მ. დავით კავკასი-

ძემ და მოიწადინა გზის გაკეთება. მ. დავით კავკასიძემ გამოუცხადა გორის ამქართა უსტაბაშებს, რომ დახმარებოდნენ ამ გზის გაკეთებაში. უსტაბაშებმა და ამქრებმა დიდის სიამოვნებით თანხმობა გამოუცხადეს. ინჟენერმაც მუქთად მიიღო შრომა გზის გეგმის მიცემაში. გორიდგანაც ამქარმა დაიწყო სიარული გორი-ჯვრის გზაზედ სამუშაოდ. ყოველ დღე სათითაოდ ყველა ხელობის ამქარი 40—60 კაცამდე შედის ხოლმე საგძლით და დაფა-ზურნით სამუშაოდ და ბევრიც აღარა აკლია-რა ამ გზის დამთავრებას; ერთს კვირაზედ მეტია რაც გორელები თავ-გამოდებით მუშაობენ, ღვდელიც თავზედ ადგია და ამხნევებს მუშებს. საღამოს ჟამზედ, როცა მუშაობას ათავებენ, მხარზედ ბარ-ნიჩბებ გადებულები სიმღერითა და დაფა-ზურნით ბრუნდებიან გორში. ღვდელიც ხიდამდის მოაცილებს, დალოცავს, მადლობას გადაუხდის ხოლმე ამქარს და ჰშორდება. ცოტაოდენი ჩვენ მივუმატოთ და ეს წესი წესად დაიდოს, რომ ყოველ კრებების დროს მათთვის ვიზრუნოთ, ღვთის შემწეობით და კეთილის ხალხის დახმარებით გამოვისყიდოთ მათი ჯანმრთელობა. თუ მალე არ მივეშველეთ, შესაძლებელია, შეგვიმცირდნენ და დაგვისნეულდნენ ნასწავლი ყმაწვილი კაცები, რომლებიც უცხო ქვეყნებში არიან წასულნი უმაღლესის განათლების მისაღებად. იმედია, ჩვენი წარჩინებულნი პირნი მიაქცევენ ამას ყურადღებას.

ქართველა დედა.

⁂

ხან, ვით არწივი მძლავრ ფრთებ გაშლილი,
ავინავარდებ ცისა სივრცეში,
ვსრიალებ, ვსტკბები, მწამს მე სიცოცხლე,
ამ წუთს არ გავცვლი თვით სამოთხეში.
მაშინ იმედის ნიავი მომბერს,
უძლეველს ძალას ჩაგრულს გულს მომფენს,
არ მინდა მოვკვდე, მინდა ვიცოცხლო,
ტკბილად ვუმზირო ამ წუთი-სოფელს.
მაგრამ იმავ წამს, ვით თოფ-ნაკრავი,
ძირსვე ვეშვები ფრთებ-შეკვეცილი;
იმ პირველს გრძნობას ვაწერ ჭკვის შეშლას
და გაწბილებულს მომდის ტირილი.
ვხედავ გარშემო ამ უფერულსა,
გათახსირებულს ჩვენსა ცხოვრებას,
სად კვნესა, ცრემლი მაშვრალის ხალხის
ძილშიც-კი გვიფრთხობს ჩვენ მოსვენებას,—
სად ბრძლა, ბრძოლა და მარად ბრძოლა,
შორით გვიქადის ჩვენ ნეტარებას:
ვიბრძვით და ვიბრძვით, მაინც ვერ მივხვდით
ვერც მოსვენებას, ვერც სიტკბოებას!

ევდოშვილი.

1892 წ.

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

15 მაისი.

პარიზი, 14 მაისი. დეპუტატმა დენისმა განაცხადა პარლამენტში, რომ უმაღლეს დაწესებულებათა მრავალი უმთავრესი ადგილი ებრაელთ უჭირავთ და ამიტომ ებრაელს კაპიტალისტებს აქვთ ხელში ჩაგდებული ალჟერის სიმდიდრეო. დეპუტატმა დრიუმა მხარი მისცა დენისს. სოციალისტმა რუანნემ მოითხოვა მიღებულ იქმნას რაიმე საშუალება ებრაელთ კომპანიების წინააღმდეგ. სასჯულო საქმეთა მინისტრმა ტრარიემ განაცხადა, რომ ამის წინააღმდეგ მთავრობა ვერავითარს საშუალებას ვერ იხმარსო. პარლამენტმა 363 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 161-ისა ამ საქმის გარდაწყვეტა ებრაელის ნაკეს წინადადებით ორშაბათამდის გადასდვა.

ლონდონი, 14 მაისი. დაბეჯითებით ამბობენ, რომ ჩინეთსა, იაპონიასა და სამთა სახელმწიფოთა შორის ლიატონგის ნახევარ-კუნძულის დაბრუნებისა გამო ფულით დაკმაყოფილება მალე მოხდებაო.

ამბობენ, საეჭვოა, რომ ფორმოზის კუნძულზედ რესპუბლიკურ მმართველობის შემოღებას რაიმე საფუძვლიანი შედეგი მოჰყვესო. კუნძული ისე მრავლად არის სხვა-და-სხვა ტომის ხალხით დასახლებული, რომ ძნელია დასახლება რომელისამე ელემენტისა, რომელზედაც შეეძლოს დამოუკიდებელს მთავრობას მტკიცედ დამყარებაო.

ვაშინგტონი, 14 მაისი. პეკინში მყოფ ამერიკელ ელჩის დეპეშა ნამდვილად ამტკიცებს, რომ კუნძულ ფორმოზაზედ რესპუბლიკური მმართველობა დამტკიცებულა. მთავრობა ფორმოზას იაპონიის საკუთრებადა სთვლის და ამიტომ იგი უთუოდ უარს განაცხადებს რესპუბლიკურ მმართველობის შეტანის შესახებ.

◆

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ-იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სტროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

მეფე დავით აღმაშენებელი
და იმისი დრო
ისტორიული მონოგრაფია
ნ. ურბნელისა
ფასი ორი აბაზი

L'URBAINE
УРБЭНЪ
Общество Страхованія Жизни.

Невскій пр., № 13,

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება აჩვენები.

ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა დაუძლურდნენ და მუშაობა ვეღარ შესძლეს.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, № 6.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(40—6)

დამზღვევი საზოგადოება
„იაკორი“
(დუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს
გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვერდს პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კი თვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. კავკასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—›)

უმაღლესად დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

დამზღვევი საზოგადოება
„როსსია“
ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

დაზღვევა სიცოცხლისა

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუგეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

დაზღვევა ცეცხლისაგან

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

დაზღვევა ტრანსპორტებისა,

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 6) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთები მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემსაწყოსადგურებზედ.

50—6—24

Дозволено цензурою, Тифлисъ 16-го Мая 1895 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე